SCPEC
THE STATE COMMISSION
FOR THE PROTECTION OF ECONOMIC COMPETITION
OF THE REPUBLIC OF ARMENIA

თანამშრომლობის მემორანდუმი
სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკური კონკურენციის დაცვის სახელმწიფო კომისიასა და საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შორის

სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკური კონკურენციის დაცვის სახელმწიფო კომისია და საქართველოს კონკურენციის სააგენტო (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მხარეები“),

გამოხატავენ რა სურვილს, ხელი შეუწყონ კონკურენციის პოლიტიკისა და კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების სფეროში თანამშრომლობას,

მიზნად ისახავენ რა, ხელსაყრელი პირობების შექმნას ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისთვის,

თანასწორობის და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით,

ხაზს უსვამენ რა, კონკურენციის პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელობას მხარეთა სახელმწიფოებში ეფექტური საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში,

თანხმდებიან, ხელი მოაწერონ თანამშრომლობის მემორანდუმს (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "მემორანდუმი") შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

მუხლი I - მემორანდუმის მიზანი

აღნიშნული მემორანდუმის მიზანია, კონკურენციის სამართლის აღსრულების და კონკურენციის პოლიტიკის განხორციელების სფეროში, მხარეთა თანამშრომლობის ხელშეწყობა და გაძლიერება.

მუხლი II - თანამშრომლობისა და ურთიერთქმედების სფერო

მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, თანამშრომლობა განხორციელდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით, გონივრულად ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით:

ა) მხარეთა სახელმწიფოებში, კანონმდებლობის განვითარებასა და კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიან აღსრულებასთან დაკავშირებით, არაკონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლა;

ბ) მხარეთა გამოცდილების გაზიარება მოკვლევების ჩატარების, საქმის შესწავლის, მონიტორინგისა და სასამართლო წარმომადგენლობის განხორციელების სფეროში, ისევე, როგორც პრაქტიკული მხარდაჭერა ამ მიმართულებით;

გ) ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება კონკურენციის ორგანოებსა და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით;

დ) სასწავლო ვიზიტებისა და ექსპერტების ტრენინგების ორგანიზება;

ე) კონფერენციებში, სემინარებსა და მხარეების მიერ ორგანიზებულ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა.

მუხლი III - შეხვედრები

საჭიროების შემთხვევაში, მხარეები შეეცდებიან ჩაატარონ შეხვედრები (ან კონსულტაციები ელექტრონული ფოსტის მეშვეობით), იმისათვის, რათა:

ა) კონკრეტულ საკითხებზე გაცვალონ არაკონფიდენციალური ინფორმაციები ისეთ საქმეებზე, რომლებიც ორივე მხარის ინტერესს წარმოადგენს;

ბ) განიხილონ მიმდინარე საკითხები, გამოცდილება და ორმხრივი ინტერესის ახალი მიგნებები, პერსპექტივები და მიმართულებები, რომელთა გათვალისწინებითაც გაგრძელდება ორმხრივი თანამშრომლობა, ისევე, როგორც მემორანდუმის ფარგლებიდან გამომდინარე სხვა საკითხები;

გ) გაცვალონ არაკონფიდენციალური დოკუმენტები, კვლევები, წიგნები და სხვა გამოქვეყნებული მასალები.

მუხლი IV - კომუნიკაცია

ინფორმაციის გაცვლა მოხდება ინგლისურ ენაზე, ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, წინასწარ განსაზღვრული საკონტაქტო პირების მეშვეობით ან მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრების დროს.

მუხლი V - შეხვედრების ორგანიზება

ღონისძიებების დღის წესრიგი, განხორციელების ადგილი და სხვა ელემენტები, მათ შორის, ფინანსური საკითხები, უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი VI - კონფიდენციალურობა

მემორანდუმის ფარგლებში, თითოეული მხარე აღიარებს, რომ აუცილებელია კონფიდენციალურობის დაცვა, მეორე მხარის ყველა ინფორმაციასთან დაკავშირებით, მათი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი VII - დასკვნითი დებულებები

წინამდებარე მემორანდუმი იდება მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და განვითარებისათვის და არ წარმოადგენს სავალდებულო შეთანხმებას მხარეთა სახელმწიფოთათვის საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. ამ მემორანდუმის არც ერთი დებულება არ უნდა იქნეს განმარტებული და გაგებული, როგორც მხარეთა სახელმწიფოთათვის უფლებების მინიჭება ან ვალდებულებების დაკისრება.

მემორანდუმის მოქმედებიდან ან განმარტებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.

წინამდებარე მემორანდუმის გადასინჯვა შესაძლებელია ერთობლივად, მხარეთა წინასწარი კონსულტაციების შემდეგ.

წინამდებარე მემორანდუმი იდება განუსაზღვრელი ვადით და ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან.

მემორანდუმი შესაძლებელია შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ მეორე მხარისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინებით.

მემორანდუმი ხელმოწერილია 2017 წლის 9 ნოემბერს, ქ. ერევანში, ორ-ორ ეგზემპლარად, სომხურ, ქართულ და ინგლისურ ენებზე, ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია. მემორანდუმის დებულებების განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, ინგლისურ ტექსტს მიენიჭება უპირატესობა.

სომხეთის რესპუბლიკის
ეკონომიკური კონკურენციის დაცვის
სახელმწიფო კომისიის სახელით

არტაკ შაბოიანი

თავმჯდომარე

საქართველოს კონკურენციის
სააგენტოს სახელით

ნოდარ ხადური

თავმჯდომარე